„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივნისი. 2021 * (4)71

პროგრამის – „განახლებული რეგიონების" ფარგლებში ახალციხეში დასრულდა კომისიების პირველი სხდომა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული სახელმწიფო პროგრამის – „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, სპეციალურმა კომისიამ პირველადი სხდომები ამ დღეებში სამცხე-ჯავახეთში დაასრულა და რეგიონის მუნიციპალიტეტების ურბანული განახლებისთვის კონკრეტული მდებარეობები შეარჩია. ახალციხეში გამართულ სხდომას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში ბესიკ ამირანაშვილი, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეები და რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები ესწრებოდნენ. პროგრამის ფარგლებში, კომისიის სხდომები ქვეყნის ყველა რეგიონში გაიმართა. ტენდერების შედეგად გამოვლინდება საპროექტო და სამშენებლო კომპანიები, რომლებიც მოამზადებენ სპეციალური კომისიის მიერ შერჩეული ობიექტების ურბანული განახლების პროექტებს და შეასრულებენ ამავე დოკუმენტაციით განსაზღვრულ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სახელმწიფო პროგრამა – „განახლებული რეგიონები“ 4-წლიანია და თბილისის გარდა, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს მოიცავს. პროგრამის მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია და ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტის მდებარეობების განვითარებას გულისხმობს. პროექტები განხორციელდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით.

ამ პროგრამის ფარგლებში დაბა ასპინძაში გათვალისწინებულია სამკუთხა სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ – მოეწყობა არსებული ქვის ფილების კაუჩუკის საფარით შეცვლა, განახლდება დეკორატიული სკამები, შეიცვლება განათების სისტემა, ლითონის ცხაურები, განახლდება შოთა რუსთაველის ძეგლის კვარცხლბეკი და სხვ., რაზეც მთლიანობაში გათვალისწინებულია 97 ათას ლარზე მეტი სამუშაოების ჩატარება.

მასშტაბური პროექტი განხორციელდება ასპინძის ომის მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, გათვალისწინებულია მისი კეთილმოწყობა, შეიცვლება ყველა ბორდიური, გაკეთდება პანელური ღობე, საყრდენი კედლები, რკინის მოაჯირები; ასევე გათვალისწინებულია ღია პავილიონის მიმდებარედ ინფრასტრუქტურის განახლება. ასევე განახლდება ვარძიის, სანაპიროს, გიორგი სააკაძის ქუჩები და სხვ. სულ ამ სამუშაოების ჩატარების მიზნით გამოყოფილია 370 ათასი ლარი.

ვარძიის კლდეში ნაკვეთ კომპლექსს ევროპის კულტურული მემკვიდრეობის ჯილდო – „ევროპა- ნოსტრას“ პრიზი გადაეცა

შემოქმედებითი ევროპის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ჯილდო – „ევროპა-ნოსტრას“ პრიზი ვარძიის კომპლექსის კონსერვაციის პროგრამას ერგო. ევროკომისიისა და ორგანიზაცია – „ევროპა-ნოსტრას“ კონკურსში საქართველოდან წარდგენილ სანომინაციო განაცხადი ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა სხვა 8 ნომინანტთან ერთად, რომლებიც კონსერვაციის კატეგორიაში სამაგალითო მიღწევებად დასახელდა. 2021 წელს ევროპის წამყვანი ჯილდო 7 სხვადასხვა ნომინაციაში გადაეცა 18 ევროპული ქვეყნის 24 პროექტს.

2021 წლის გამარჯვებულები ონლაინ ღონისძიებაზე ინოვაციის, კვლევის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით ევროკომისარმა მარია გაბრიელმა და „ევროპა-ნოსტრას“ აღმასრულებელმა პრეზიდენტმა ჰერმან პარცინგერმა დაასახელეს. გამარჯვებულები გამოვლინდნენ მემკვიდრეობის ექსპერტებისგან შემდგარი დამოუკიდებელი ჟიურისა და 30 ქვეყნის ორგანიზაციისა და ინდივიდუალური პირების ხმების საფუძველზე.

26 მაისიდან მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების მემკვიდრეობის მხარდამჭერ მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ გამარჯვებული პროექტებიდან ხმის მიცემით გამოავლინონ „საზოგადოების რჩეულის“ ჯილდოს მფლობელი. ამ პრიზის ლაურეატი ევროპული მემკვიდრეობის დაჯილდოების ცერემონიაზე ოქტომბერში დასახელდება. აღნიშნულ თვეს გამოვლინდებიან ნომინაციების გრან-პრის

მფლობელებიც, რომლებიც ფულადი პრიზის სახით 10 000 ევროს მიიღებენ.

ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, როგორც შუა საუკუნეების მემკვიდრეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი, აქტიურ სეისმურ რეგიონში მდებარეობის გამო დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად დაზიანდა. კომპლექსის საკონსერვაციო მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მისი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ და ფონდმა „ქართუმ“ ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მონიტორინგის სისტემა და პროაქტიული კონსერვაციის პროექტი დააფინანსა. იტალიის გეოლოგიური კვლევის ინსტიტუტ ISPRA-სთან მჭიდრო თანამშრომლობით პროექტი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობით წარიმართა.

საუკუნეების განმავლობაში ქანების ეროზიის ბუნებრივი პროცესები, სეისმურ აქტივობასთან ერთად, საფრთხეს უქმნიდა ძეგლის მთლიანობას. ბოლო წლების განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ კი უსაფრთხოების ზომების გაძლიერების გადაუდებელი აუცილებლობა მოითხოვა. ადგილობრივი პროფესიონალებისა და მკვლევარების ცოდნისა და გამოცდილების ასამაღლებლად და მეთოდოლოგიური დახმარებისთვის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწვეულნი იყვნენ ISPRA-ის ექსპერტები, რის შედეგადაც შეიქმნა კონსერვაციის ყოვლისმომცველი გეგმა. 2015 წლიდან 2019 წლამდე ვარძიაში ქვათაცვენისა და მეწყერების შესაჩერებლად არაერთი გადაუდებელი ღონისძიება ჩატარდა. ჰორიზონტალური ბურღვებისა და დაანკერების მეთოდით გამაგრდა ისტორიული კომპლექსის კრიტიკული კლდოვანი მასივები, შემუშავდა გრძელვადიანი სტრატეგია, დამონტაჟდა მონიტორინგის კომპლექსური სისტემა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ამუშავებს გარემო პირობების საკვანძო მონაცემებს და ანალიზისათვის გადასცემს სამეცნიერო ჯგუფს. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს ზიანის შემცირებას და ვარძიის გრძელვადიანი სტრუქტურული სტაბილურობის უზრუნველყოფას.

კონკურსის ჟიურიმ სათანადოდ შეაფასა ძეგლის სპეციფიური პრობლემების გადაჭრის პროცესში ადგილობრივი პროფესიონალების უნარების ამაღლებისა და ინ-

დასასრული მე–2 გვ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

25 მაისს გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხი:

,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხი ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს;

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ანა ტივაძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების თაობაზე, რის შემდეგაც საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა **მამუკა მელიქიძე.**

სხდომას ესწრებოდა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი **როსტომ მაგრაქველიძე.**

მაკა ბერიძე

მე-12 კლასელებს ვულოცავ სკოლის დამთავრებას!

სკოლის დამთავრებას განსაკუთრებით ვულოცავ ასპინძის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს. ამიერიდან თითოეული თქვენთაგანი იწყებთ სრულიად ახალ ცხოვრებას, – გადადიხართ განსხვავებულ ეტაპზე, წინ გელით ახალი ურთიერთობები, მეგობრები, სხვა პასუხისმგებლობა.

გისურვებთ მომავალ წარმატებებს ახალ-ახალი გამოცდილებებით, ურთიერთობებით, ცოდნისა და განვითარების პერსპექტივებით, მეტი უფლებებითა და, ამავდროულად, პასუხისმგებლობით საკუთარი მომავლისა და ქვეყნის წინაშე.

თქვენ, ნამდვილად გამორჩეული თაობა ხართ, რომელმაც ღირსეულად უპასუხა მსოფლიოში „COVID-19“-ით გამოწვეულ პანდემიას.

გისურვებთ, – მოგეცეთ საშუალება მაქსიმალურად გამოავლინოთ საკუთარი შესაძლებლობები. მჯერა, თითოეული თქვენგანი იპოვის საკუთარ თავს და ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენს საზოგადოებაში.

მთელი გულით გისურვებთ წარმატებებს ცხოვრების ამ ახალ ეტაპზე!

როსტომ მაგრაქველიძე,
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

ვარძიის კლდეში ნაკვეთ კომპლექსს ევროპის კულტურული მემკვიდრეობის ჯილდო – „ევროპა- ნოსტრას" პრიზი გადაეცა

პირველი გვერდიდან

ტერდისციპლინარული, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა, რამდენადაც საკონსერვაციო პროგრამის მსვლელობისას იტალიელ ექსპერტებთან თანამშრომლობამ უზრუნველყო ადგილობრივი ცოდნისა და უნარების ზრდა. ვარძიაში განხორციელებული საპილოტე პროგრამა ჟიურის მიერ შეფასდა როგორც გადაუდებელი პრობლემების გადასაჭრელად მყისიერი ზომების დანერგვის კარგი მაგალითი, რომელიც მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის უახლესი ტექნოლოგიის გამოყენებით განხორციელდა.

წარმატებულმა საპილოტე პროექტმა საფუძველი ჩაუყარა „კლდეში ნაკვეთი მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას", რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში სხვა „კლდის ძეგლების" გადარჩენას. ამ ტიპის საკონსერვაციო ინტერვენციებს კულტურული მემკვიდეობის დაცვის ეროვნული სააგენტო უკვე ახორციელებს დავით გარეჯის, უფლისციხისა და ვანის ქვაბების კომპლექსებზე.

*

ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მშენებლობა XII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო მეფე გიორგი III-მ და დაასრულა მისმა ქალიშვილმა, თამარ მეფემ. კომპლექსი გაშენებულია კლდის გასწვრივ, გადაჭიმულია 50 მეტრის სიმაღლეზე და დაახლოებით 800 მეტრ სიგრძეზე. ის შედგება რამდენიმე ასეული დამოუკიდებელი სათავსისაგან. XII საუკუნით დათარიღებული ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის კედლის მხატვრობა ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული და მნიშვნელოვანი ნიმუშია. კომპლექსი 1993 წლიდან შეტანილია მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარულ ნუსხაში.

ონლაინ ცერემონიის მსვლელობისას ევროკომისარმა მარია გაბრიელმა განაცხადა: – „ევროპული მემკვიდრეობის ჯილდოს – „ევროპა-ნოსტრას ჯილდო - 2021-ის" გამარჯვებულები არიან ევროპული მემკვიდრეობის მშვენიერების ელჩები, იქნება ეს ტრადიციები, თვალწარმტაცი არქიტექტურა თუ მემკვიდრეობა, რომელიც სხვადასხვა ჯგუფსა და თაობას აერთიანებს. მე მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენი მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვა და წარმატება მის სამსახურში მყოფ ხალხზეა დამოკიდებული. ამ დაჯილდოებით ჩვენ აღვნიშნავთ გამორჩეული ადამიანების წვლილს, ესენი არიან მემკვიდრეობის პროფესიონალები, არქიტექტორები, მეცნიერები და მოხალისეები, რომლებმაც ეს საერთო მემკვიდრეობა ჩვენს გულთან ახლოს მოიტანეს. მათი ხედვა დასაფასებელია".

„ევროპა-ნოსტრას" აღმასრულებელმა პრეზიდენტმა ჰერმა პარცინგერმა განაცხადა: „ყოველწლიურად ევროპული მემკვიდრეობის ჯილდოს/ევროპა ნოსტრას დაჯილდოების გამარჯვებულები წარმოადგენენ იმ ადამიანთა შეუდარებელ შემოქმედებითობასა და თავდადებას, რომლებიც ცდილობენ დაიცვან და მომავალ თაობას გადასცენ ევროპის ძვირფასი მემკვიდრეობა. ამ წლის ლაურეატებმა აჩვენეს, თუ რა გადაწყვეტის საშუალებებს გვთავაზობს მემკვიდრეობა მწვავე გამოწვევების ფონზე, კლიმატის, ურბანული და სოფლის მდგრადი განვითარების პარალელურად, რითიც ვიცავთ ჩვენს ევროპულ ღირებულებებს. ჩვენ მივესალმებით ამ გამორჩეულ მიღწევებს და ვიმედოვნებთ, რომ სხვა მრავალი მემკვიდრეობის სფეროს პროფესიონალისა და ენთუზიასტისთვის შთაგონება გახდება ევროპის მასშტაბით და მის მიღმა."

აქვე გთავაზობთ აღნიშნულ ნომინაციაში 2021 წელს გამარჯვებულებს:

– Gare Maritime, ბრიუსელი, ბელგია

– ფრედენსბორგის სასახლის ბაღი, დანია

– ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, საქართველო

– Haus Am Horn, ვაიმარი, გერმანია

– პლაკას ხიდი, ეპირუსი, საბერძნეთი

– ზედა ორმონდ კეის 18 Ormond Quay Upper, დუბლინი, ირლანდია

– სოფელი ურსის ხის ეკლესია, ვილჩის ჟუდეცი, რუმინეთი

– ბეზოს წყლის კოშკი, ბარსელონა, ესპანეთი

– Mas de Burot, ელ პორტის ბუნებრივი პარკი,ესპანეთი

არებას. პრიზის მხარდამჭერია ევროკავშირის – „შემოქმედებითი ევროპის" პროგრამა.

ჯილდოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპული საზოგადოების, ეკონომიკისა და გარემოსთვის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მრავალმხრივი ღირებულების აღიარების საქმეში..

„ევროპა-ნოსტრა"

„ევროპა-ნოსტრა" წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პან-ევროპულ ფედერაციას, რომელსაც მხარს უჭერენ როგორც კერძო კომპანიები, ასევე საჯარო დაწესებულებები და ინდივიდები. ორგანიზაცია აერთიანებს ევროპის 40 ქვეყანას და მიზნად ისახავს ევროპის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას. „ევროპა-ნოსტრა" დაარსდა 1963 წელს და დღეისთვის იგი ყველაზე წარმომადგენლობითი ევროპული

ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის ჯილდო – „ევროპა-ნოსტრა"

ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის ჯილდო – „ევროპა-ნოსტრა" დაარსდა 2002 წელს ევროკომისიის მიერ, რომელსაც ახორციელებს „ევროპა-ნოსტრა" ევროკავშირის პროგრამის – „შემოქმედებითი ევროპის" მხარდაჭერით. პროგრამა წარმოაჩენს მემკვიდრეობის კონსერვაციის, კვლევის, მენეჯმენტის, განათლების და კომუნიკაციის სფეროს საუკეთესო მაგალითებს და ამით ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ევროპის ეკონომიკის და საზოგადოების სტრატეგიული რესურსის როლის აღიქსელია. „ევროპა-ნოსტრას" პროგრამის – „საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლი" – ფარგლებში ახორციელებს ევროპაში განადგურების პირას მყოფი ძეგლების და ლანდშაფტების გადარჩენის კამპანიას. იგი წარმოაჩენს სფეროს მიღწევებს ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზის – „ევროპა-ნოსტრას" ჯილდოს მეშვეობით. ევროპულ ინსტიტუციებთან და ევროპული მემკვიდრეობის ალიანსთან კოორდინირებით იგი, 2018 წლის კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წლის ფარგლებში ევროკავშირის მთავარი პარტნიორი იყო, ასევე ევროკომისიის მიერ გამოცხადებული ახალი ევროპული ბაუჰაუსის ინიციატივის ერთ-ერთ მთავარი პარტნიორია.

დამალის კულტურის სახლს რეაბილიტაცია უტარდება

თითქმის სამი ათეული წელია, რაც მუნიციპალიტეტის სინამდვილეში, ფაქტიურად, ასპინძის კულტურის ცენტრისა და დამალის კულტურის სახლის გარდა თავის ფუნქციონირებას ვერ ასრულებს სხვა ყოფილი კულტურის სახლები.

რამდენიმე წლის წინ გაუმჯობესდა დაბა ასპინძის კულტურის ცენტრის ინფრასტრუქტურა, თუმცა სავალალო მდგომარეობაში იყო დამალის კულტურის სახლის შენობა, რის გამოც მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს დაიწყო და სულ მალე დამალელებს კაპიტალურად შეკეთებული კულტურის სახლი ექნებათ, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ატარებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ნიუ პროჯეკტი".

პროექტით გათვალისწინებულია დაიგოს მეტლახის იატაკი, შეიცვლოს კარ-ფანჯრები, გაკეთდება შეკიდული ამსტრონგის ჭერი, ბეტონის სარინელი და ბაზალტის ბორდიურები, შეილესება და სამღებრო სამუშაოები ჩაუტარდება ოთახებს, დამონტაჟდება თეატრალური სკამები.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ობიექტზე მთლიანად ადგილობრივები არიან დასაქმებულები,

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 224 700 ლარზე მეტია.

მიმდინარეობს პარკის ინფრასტრუქტურის განახლება

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ინფორმირებულია იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წელს დაბის ცენტრში ხორციელდება საინტერესო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურისა და დასვენების პარკის ინფრასტრუქტურის განახლებას.

ერთ დროს აღნიშნული პარკი რეგიონში ერთ-ერთ საუკეთესო პარკად ითვლებოდა ბორჯომის მთავარი პარკის შემდეგ, მაგრამ, დროთა განმავლობაში, მოუვლელობით, ისე გაპარტახდა, რომ პარკმა მთლიანად დაკარგა თავისი იერსახე.

მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით მოძიებული იქნა საჭირო ფინანსური ასიგნებანი და თვეზე მეტია ინტენსიურად დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. პირველ რიგში მიმდინარეობს ტერიტორიის სამშენებლო პოლიგონის მომზადება, რაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

სამშენებლო ობიექტზე კვალიფიციური მუშახელი ძირითადად დასაქმებულია ასპინძელებისაგან.

ბავშვთა ცვლილთაშორისო დროს გილოცავთ, ჩვენო ბავშვებო!

თქვენი ლამაზი ღიმილი

რა კარგები ხართ, შვილებო,
მოსულნო, ხალხის იმედად,
სამშობლოს სიყვარულისთვის
ჩონგურზე გაბმულ სიმებად.

ცაზე მზის მწველი სხივები
გვირგვინად თავზე გეხუროთ,
მამული აყვავებული
და გაფურჩქნული გეხილოთ.

ჩემო პაწია ანანო,
ლიკა, თოკო და ილია,
თქვენი ლამაზი ღიმილი
ყველაზე უფრო ტკბილია.

იარეთ, ვარდი გეფინოთ,
ძუძუს გაწოვდეთ იანი
და არასოდეს გეხილოთ
სამშობლო თვალცრემლიანი!

„კოვიდ-19 - ის" საწინააღმდეგო ვაქცინაცია

მეორე წელია მსოფლიო აქტიურადაა ჩართული „COVID-19“ (SARSCOV-2) ვირუსით გამოწვეული პანდემია-ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც საკმაოდ რთული და გაუსაძლისია. ვირუსის ფართო გავრცელება და გადამდებლობა იწვევს მისი გენომის ერთეულ ცვლილებებს, რაც ხელს უწყობს ახალი შტამების ჩამოყალიბებას. სახეცვლილი (მუტირებული) ვირუსი, შესაბამისად, მეტ აგრესიულობას ამჟღავნებს, მეტად დაუმორჩილებელი ხდება და მეტ ძალისხმვასა და ცოდნას საჭიროებს იმ ადამიანების მხრიდან, ვინც უშუალოდ ებრძვის მას. სამწუხაროდ, დღემდე არ შექმნილა ეტიოტროპული პრეპარატი, რომელიც უშუალოდ ამ ვირუსზე დამღუპველად იმოქმედებს და კორონავირუსით დაავადებული ადამიანების მკურნალობა კვლავაც სიმპტომურად მიმდინარეობს. თუმცა, დღეს, უკვე გვაქვს საშუალება გარკვეულ ხარისხში თავიდან ავიცილოთ დაინფიცირება, დაავადების მძიმე მიმდინარეობა, გართულებები და სიკვდილის შემთხვევები. ეს მიიღწევა იმუნიზაციის წყალობით, რაც დღეს უკვე არსებობს კოვიდ-19 ის საწინააღმდეგო ვაქცინა.

ჩვენმა ქვეყანამ მიმდინარე წლის აპრილიდან დაიწყო ვაქცინაცია „კოვიდ-19-ის“ წინააღმდეგ „ასტრაზენეკას“ ვაქცინით, შემდეგ „ფაიზერი“ შემოგვიერთდა, მას მოჰყვა „სინოფარმი“ და, ბოლოს, „სინოვაკის“ ვაქცინა. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს ბოლო სამი ვაქცინით მოსახლეობის იმუნიზაცია და მასზე წვდომა აქვს 18 წლის ზევით ასაკის ყველა მოქალაქეს. ვაქცინები გამოცდილია და სინოვაკის გარდა ყველა მათგანს მინიჭებული აქვს გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაცია ჯანმოს მხრიდან. ვაქცინები განსხვავდება ერთმანეთისგან მწარმოებლის მიხედვით, ასევე, წარმოების ტექნოლოგიის მხრივ – დაცვის ხარისხით. ჩვენს მოქალაქეებს ადვილად შეუძლიათ დარეგისტრირდენ რიგების მართვის ვებსისტემაში თავისთვის სასურველ ვაქცინაზე სასურველ კლინიკასა და ხელსაყრელ დროს და დაჯავშნონ აცრის ადმინისტრირების ვიზიტი. აცრა იცავს ადამიანს დაინფიცირების შემთხვევაში დაავადების მძიმე მიმდინარეობისა და ლეტალური შემთხვევისაგან.

აცრაზე გამოცხადებულ მოქალაქეს ემსახურება იმუნიზაციის ჯგუფი – ექიმის, ამცრელი მედდისა და რეგისტრატორის შემადგენლობით. ექიმი ავსებს თითოეულ ასაცრელ მოქალაქეზე „კოვიდ-19-ის“ ვაქცინაციის წინა შეფასების კითხვარს. ის განსაზღვრავს ვაქცინაციის ჩატარება-არჩატარების საკითხს ჯავშნის დღეს. ასაცრელი პირი აცნობიერებს რა ვაქცინის შესაძლო რისკებსა და ვაქცინის შედეგად მიღებულ სარგებელს, ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას. აცრის ადმინისტრირების შემდეგ ხდება მათი დაყოვნება გარკვეული დროით - „ასტრაზენეკას“ შემთხვევაში 45 წუთით, „სინოვაკის“ და „სინოფარმის „შემთხვევაში – 30 წუთით. ეს არის ის დრო, როდესაც შეიძლება გამოვლინდეს ორგანიზმში დაუყოვნებლივი რეაქცია – **იმუნიზაციის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენა – ანაფილაქტოიდური,** ან მსგავსი გამოვლინებით, თუ ასეთს ადგილი ექნება. დანარჩენი აცრის შემდგომი ადგილობრივი თუ ზოგადი გვერდითი მოვლენები შედარებით ხშირია და გამოიხატება თავის ტკივილით, ინექციის ადგილის ტკივილით, შეწითლებით, თავბრუსხვევით, სისუსტის შეგრძნებით, და ა. შ., რაც მცირე დროით შეიძლება გაგრძელდეს და არ იყოს შემაწუხებელი.

დღევანდელი მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში 125 000-ზე მეტი ადამიანია უკვე აცრილი და დღეში 4000 და მეტი მოქალაქე იცრება.

ასპინძის მუნიციპალიტეტში 27 მაისის მონაცემებით 200 ადამიანია აცრილი („სინოფარმით„) პირველ დოზაზე. აცრები 5 მაისიდან დაიწყო და 26 მაისს, უკვე მეორე დოზით ადმინისტრირება დაიწყო. 25 მაისიდან „სინოვაკით“ აცრაც დაიწყო. „სინოფარმით“ მეორე დოზა 3-დან 4 კვირამდე პერიოდში ეძლევათ, „სინოვაკის“ შემთხვევაში – 2-3 კვირის განმავლობაში, ხოლო, რაც შეეხება „ასტრაზენეკას“ – მეორე დოზა 6-8კვირის შემდეგ ეძლევათ.

აცრა საუკეთესო იარაღია „კოვიდ-19“-ის წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა, იმუნიზაციის კამპანია უნდა იყოს მასიური და საყოველთაო, რათა ჩამოყალიბდეს გარკვეული იმუნური ფენა. აცრასთან ერთად აქამდე მოწოდებული პრევენციის ღონისძიებები – ნიღბის ტარება, დისტანციის დაცვა და დიდი თავშეყრებისგან თავის არიდება მეტად აგვაცილებს თავიდან ამ ვირუსით გამოწვეულ უსიამოვნებებს. ამიტომ უნდა ავიცრათ და ვიქნებით დაცულები.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

მზია პაპაშვილი,
ა(ა)იპ ასპინძის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი

ფოლკლორი

ნეს-ჩვეულებები

ამინდის გამოსათხოვარი რიტუალი სამხრეთ საქართველოში

ამინდის გამოსათხოვი რიტუალი ცნობილია საქართველოს ყველა კუთხეში, რომელიც ხასიათდება თავისი სპეციფიკური ნიშნებით. მიწათმოქმედების განვითარებისა და მოსავლიანობის ზრდისთვის ყოველთვის ხელსაყრელი ამინდი იყო საჭირო. ხალხის წარმოდგენით, სასურველი ამინდის გამოსათხოვად აუცილებელი იყო გარკვეული რიტუალის შესრულება. გვალვების ან ხანგრძლივი წვიმების დროს ქალები თიხის თოჯინას დაამზადებდნენ, სოფელ-სოფელ დაატარებდნენ და მღეროდნენ ლაზარეს საგალობელს. დამხვდურები ჩამომვლელებს წყალს გადაასხამდნენ, ან ნაგავს მიაყრიდნენ იმის მიხედვით, თუ როგორი ამინდის გამოთხოვა უნდოდათ (ირ. სურგულაძე, ქსე) ტ. 6, გვ. 103-104, თბ. 1983).

ტრადიცია ჯერ კიდევ შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. წარმართული ღვთაებისადმი თაყვანისცემა მოგვიანებით ქრისტიანულ სარწმუნოებას შეერწყა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცა-ღრუბლის თუ ტაროსის სავედრებელი რიტუალი ეკლესიასთან სრულდებოდა (ქ.სიხარულიძე. ამინდის რიტუალი და პოეტური შემოქმედება. მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. 44-45. თბ. 1974).

ამინდის რიტუალთან დაკავშირებით საყურადღებო მასალა ჩავიწერეთ მესხეთში. ჩვენი ინფორმატორის ლაზარობის მონაწილე ქალის ცნობით (მარიამ არჩილის ასული დიასამიძე, 76 წლის სოფელ ღრელში გამოთხოვილი სოფელ დადეშიდან (ამჟამად ნასოფლარი ასპინძის რაიონში). ჩვენ სოფელში, დადეშში, რიტუალში მხოლოდ ქალები და ბავშვები მონაწილეობდნენ. ძლიერი გვალვების დროს სოფლის წყაროსთან იკრიბებოდნენ. ყველაზე ასაკოვანი ქალი ერთ-ერთ ბავშვს თავზე რკინის ყუთს ან თასს დაადგამდა, ზემოდან ნაჭერს გადააფარებდა, ფეხებზე ჩვრებს (ქსოვილს) შემოახვევდა, „შეკაზმავდა“, ხელში ჯოხს დააჭერინებდა, „ეს გაჭირვების სახით, ღმერთს რო შესცოდებოდა“. ამ მონაწილეს „ობოლას“ ეძახოდნენ. ერთხელ მეც ვიყავი „ობოლა“. ასე იტყოდნენ:

„ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვა“. ამის შემდეგ იწყებოდა სარიტუალო მსვლელობა. მსვლელობისას მონაწილეები შემდეგ საგალობელს წარმოთქვამდნენ:

„ლაზარ მოდგა კარსაო,
აბრიალებს თვალსაო,
იღორღოშებს თავსაო....
ცხავი აგორებულაო,
წვიმა გაჩქარებულაო,
ღმერთო, მოგვეც ტალახი,
აღარ გვინდა გორახი...“

„ობოლას“ სოფლის ქუჩებში ჩამოატარებდნენ და ოჯახებიდან გამოტანილი წყლით განუწავდნენ, შემოვლის დასასრულს, „ობოლას“ დასველებულ ტანსაცმელს ყანაში გაწურავდნენ, ბებრები (მოხუცი ქალები) წამოგვყვებოდნენ და დაილოცებდნენ: „ღმერთო დაეხმარე ობლებს, ყისმათი (ბედი) მოეციო“.

მონაწილეები შემდეგ სოფლის ძველ ეკლესიაში მიდიოდნენ. „ეკლესიის ეზოდან ქვას მალულად ავიღებდით (ზურგს უკან დამალავდნენ) და ახალ ეკლესიაში გადავიტანდით ისე, რომ არ უნდა დაგვენახა“. ეკლესიის ახლოს მცხოვრები მოსახლეები ბავშვებს შინ შეიყვანდნენ, პურს შეაჭმევდნენ – „შეიცოდებდნენ“.

განსხვავებული ვარიანტი ჩავიწერე ახალციხის რაიონის სოფელ ღრელში (ძველი მლაშიხევი. მთქმელი ნოე იორდანის ძე მურვანიძე): „გვალვის დროს ამინდს მხოლოდ სოფლის უხუცესი მამაკაცი გამოითხოვდა. მდინარიდან ამოიღებდა „ლიპ ქვას და უნძრახად ამაღლების მთაზე აიტანდა (ზედა ღრელში), იქიდან კიდევ იქაურ ქვას წამოიღებდა და წყალში ჩააგდებდა, რათა გაწვიმებულიყო. „ღმერთიც უსმენდა“.

მესხეთში დღეისათვის აღნიშნული რიტუალი აღარ სრულდება, თუმცა მისი მნიშვნელობა ყოველთვის უნიკალური იქნება, რადგან აქ ვხვდებით აგრარულ ღვთაებათა კულტმსახურების ელემენტების შერწყმას ქრისტიანული რელიგიის ელემენტებთან.

ელდარ ზაზაძე,
ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტოლოში

ქორწილი

მშობლები ქალს ძველად ისე ათხოვებდნენ სხვა სოფელში, რო ქალმა და ვაჟმაც არ იცოდნენ. გასცვლიდნენ ბეს ან მშობლები, ანდა ვაჟის მხარეს შუამავალი. მერე მოვიდოდნენ მოყვრები რძლის სანახავათ. ამ პირველ მოსვლას ვეძახდით მოსაკითხს. მას შემდეგ მოუტანდნენ ნიშანს, ქონებაზე იყო დამოკიდებული: თუ დიდარი იყო, რამდენიმე ხელ ტანსაცმელს, ხორც მოიტანდნენ (ერთ ცხვარს), შაქარს იყიდამდნენ, ბრინჯს, სასმელსაც მოიტანდნენ. ნიშნის შემდეგ ქალი უნდა დარჩენილიყო მშობლებთან ერთი წელიწადი მაინც. ამ წლის განმავლობაში, რაც კი კარქი დღესასწაული იქნებოდა, ვაჟის მშობლები მიდიოდნენ რძლის სანახავათ. ქორწილის წინ ხანეფში უკანასკნელათ მივიდოდა ვაჟის მშობლები გადასაწყვეტათ. დასთქვამდნენ დროს, როდის უნდა მოახდინონ ქორწილი, მოლაპარაკდებოდნენ. ეს ოჯახიც უწვევდა (დაუპატიჟებდა) თავის ნათესავებს და მოილაპარაკებდნენ, რომელ დღეს იქნებოდა ქორწილი, რამთენი კაცი უნდა მოსულიყო, ვაჟის მშობლეფს ხორცი, სასმელი რამთენი უნდა მოეტანათ (ამას მოსთხოვდა ქალი მშობელს). ამაზე შერიგდებოდნენ. ესენი ყველაფერი უნდა მოსულიყო ქორწი-

გაგრძელება გვ 4

სპორტი

ასპინძის „ვარძია“ გამარჯვებულია

ახლახან სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ეგიდით, ასპინძის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „მოყვარულთა თასი 2021-ის“ ფინალური შეჯიბრი, სადაც ერთმანეთს ასპინძის „ფეოლა“ და ასპინძის „ვარძია“ დაუპირისპირდნენ.

,,მოყვარულთა თასი 2021-ის“ გამარჯვებული გუნდი გახდა ასპინძის ,,ვარძია'' და მეტოქე ანგარიშით – 2:0-ით დაამარცხა.

თამაშის დასრულების შემდეგ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ სამახსოვრო თასით და მედლებით დააჯილდოვა ორივე გუნდი.

აღნიშნულ პირველობას ფინალში ორგანიზება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

ნოჩრი მძლეოსნების წახმატება

კორონა-ვირუსის პანდემიის გამო დიდი ხანია მოსახლეობა მოწყვეტილია მასობრივ სპორტულ ღონისძიებებს, თუმცა არსებული რეგულაციების სრული დაცვით ქვეყნის მასშტაბით მაინც არ წყდება სპორტული შეჯიბრებები, მათ შორის _ მოსწავლე-ახალგაზრდობას შორის, სადაც აქტიურად მონაწილეობს ასპინძის ა.ა.იპ-ი გაერთიანებული კლუბი და სასურველ შედეგებსაც აღწევს.

ამ დღეებში ქ.თბილისში ჩატარდა საქართველოს ღია პირველობა მძლეოსნობაში, სადაც დასკვნით ეტაპზე მონაწილეობდა 6 გუნდი, მათ შორის ასპინძის ა(ა)იპ-ის გუნდი (მწვრთნელი მამუკა ნადირაძე).

ბირთვის კვრაში სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ვახტანგ მელიქიძე (II ადგილი) და მერაბ ნადირაძე (III ადგილი). სასიხარულოა, რომ ასპინძელები ყოველთვის რესპუბლიკური შეჯიბრებებიდან ხელდამშვენებულები ბრუნდებიან.

ვულოცავთ!..

ქ.ახალციხეში ჩატარდა რეგიონული ღია პირველობა მძლეოსნობაში, სადაც მონაწილეობდა ა.ა.იპ ასპინძის გაერთიანებული კლუბის მძლეოსანთა გუნდი.

სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში II ადგილზე გავიდნენ ლუკა მელიქიძე (1500 მ/რბენაში), ლუკა ნადირაძე (800) და მათე ხმალაძე (300), ხოლო მესამე ადგილზე _ გიორგი ნადირაძე (1500 მ/რბენაში) და ქრისტინე დავლაშერიძე (300).

ვულოცავთ ნორჩ სპორტსმენებს გამარჯვებას და ვუსურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს შემდგომ სპორტულ სარბიელზე.

პაატა ქავთარაძე

ქორწილი

მე–3 გვერდიდან

ლის წინ დღეს. მეორე დღეს ქორწილი მოვიდოდა. სარძლო ოჯახში არ ხვდებოდა, რომელიმე მახლობელი ნათესავი წაიყვანდა თავის სახში. ქორწილი რო დარიგდებოდა ოჯახში, მოყვარე მოიკითხებდა:

– აბა, სად არი რძალიო?

გაუძღვებოდა ოჯახის პატრონი მოყვარეს მედუდუკეებით და წაიყვანდა იმ ოჯახში, სადაც რძალი იყო. ამ ოჯახშიც ოჯახის პატრონი პატარა კამპანიას მოუწყობდა, ცოტა შეაქეიფიანებდა. მოყვარე დაასაჩუქრებდა ოჯახს ფულით და წამოიყვანდნენ. რო მოვიდოდნენ ოჯახში, ქალს კიდევ ცალკე ოთახში შეიყვანდნენ. იქ უნდა ჩეეცმევინათ პატარძლისთვის. მოვიდოდა ის მოყვარე. უნდა გადაეხადა ტანს ჩასაცმელი.

– ფულიო! – მაკრატელი არ სჭრისო! თავზე ხელ დაადებდნენ – კიდევ ფული მოგვეციო! ქამარი იცოდნენ – არ სწვდებაო, ფულიო! გამოიყვანდნენ პატარძალს ქორწილში ნეფესთან. პატარძლის მამა ჩააბარებდა ნეფეს: – აჰა, შვილო, ეს არის ჩემი ხორციელი შვილი, შენა ხარ ჩემი სულიერი შვილი, შენთვის ჩამიბარებია ჯერ ხვთის ამანათი და მერე შენი. მერე დალოცავდა: – გაბედნიეროთ, გამრავლდით ისე, როგორც ისაკი და რებეკაო.

მერე დასწერემდნენ ჯვარს. იმ ღამეს ქორწილი რჩებოდა ქალის ოჯახში. მეორე დღეს ასაუზმებდნენ და გაისტუმრებდნენ (რძალს აუცილებლივ პირსაფარი უნდა ჰქონოდა სახეზე, ჯვრისწერამდე არც კი იცოდნენ, ვის ვინ მიჰყავდა). გზაში იცოდნენ სამხრობა (წაასაუზმებდნენ). გასტუმრების დროს იცოდნენ სიმღერა. წინ მახარობელს გზავნიდნენ. მაყრიონი რო მოვიდოდა ოჯახში, შეხვდებოდნენ სიმღერით: – მოგვყავს და მოგვიხარიან წითელ-ყვითელი ხოხობი: მახარობელს, ოჯახში რო მოვა, ჯამით არაყს ასმევენ. მერე ჯამი უნდა გატეხოს. კარებში დახვდება ნეფის და. იმას უჭირამს ტაბაკზე დაწყობილი ქადა, ჰალვა, ოთხი სანთელი ანთებული და შეხვდება ნეფეს. ორი შაქრის ნატეხი უჭირამს, ერთი დედოფალს და ერთი ნეფეს. ნეფის და ასე უკანუკან მიდის აჯლამდის.

ქორწილი მოვა ვაჟის კარებზე. ქალი რო ცხენიდან ჩამოჯდეს, ქვაბს დაუდგამდნენ გადმობრუნებულს, რომ ჩამოჯდეს. ჩამოჯდება ქვაბზე. მოიყვანებენ ცხვარს, ფეხთან დაუკლამენ ცხვარს, რომ ზედ გადაიაროს. ქვაბს ფეხს კრამს და გადააბრუნამს. კარებთან რო მივლენ. მაყრები მიჰყვებიან ნეფე-დედოფალს ხანჯლებით. როცა კარებში შედიან, ხანჯლეფს სცემენ კარების კუდსა. კარი ხვდებათ დაკეტილი. აქ იქნება ყვირილი – გააღეთ კარიო, მაგრამ შიგნიდან იძახიან – ფული მოგვეციო! ატყუებენ: – აქედან გააღევითო და ფულ მოგცენთო. მაინც ისინი არ აღებენ კარეფს. მაშინ ნათლია იღეფს ფულსა და აძლევს ხუთ თუმნამდის. როცა ნეფე-დედოფალი, ნათლია შედიან აჯლაზე, აჯლის წინ ერბოთი სავსე ქოთანს დადგამენ. სამჯერ უნდა შემოუარონ სამივემ. ქალმა ყველა შემოვლაზე უნდა მუურიოს და თითი ჩააწოს და შეჭამოს, მერე მაყრები ყვირიან.

– არ გვჯერა, ქვევიდან ფქვილი იქნებაო! მეორე მაყარი ყვირის:

– ხანჯლით მოვურიოთო! მესამე მაყარი ხანჯლით ურევს. მერე წაიღებენ ქოთანს. უახლოვდებიან აჯლას და ხედავენ, რო ოთხი-ხუთი ბავშვი წამოწოლილია პირქვე და ხელები უწყვიათ ზურგზე. ხალხი შესძახის აქეთ-იქიდან: ადექით ბიჭო, ხარი ყანაში შევიდაო! ეს ბავშვები მაინც არ ადგებიან. აქედ-იქიდან ყვირიან – ნათლია ფული მიეციო! მერე ნათლია ასწევს და თითოეულს თითო მანეთს მისცემს. ადგებიან ბავშვები და წავლენ. მაშინ ნეფე-დედოფალი ავლენ აჯლაზე. მერე მას შემდეგ, მოვლენ ხალხი და მოულოცამენ. მოლოცვის შემდეგ პატარძლისთვის მოჰყავთ ბავშვები, რო აჩუქოს რამე. თუ გოგოა, ჩიჭიკასა და კაბას ჩააცმევს, თუ ვაჟია, წინდას ჩააცმევს.

მოლოცვის შემდეგ დალაგდება ხალხი, დააწყობენ სუფრას, ამოირჩევენ თამადას (ქორწილი თამადის ბრძანების ქვეშ უნდა იყოს). პირველათ ადღეგრძელებენ მეფე-დედოფალს, მერე ნათლიას, მერე მშობლებს, ნაწვევებს (ნათესავებს) განაყოფებს, მაყრებს მაყარბაშით, მეზობლებს, შემოსწრებულებს და სხვ. ქორწილის მეორე დღეს ხალხს კიდევ უძახიან ქორწილში.

ის მაყარი, რომელიც დაიგვიანებს, მაყრები სახში თოკით გამააბამენ და მიმართავენ მის ნათესავებს: – დაიხსენითო! ამ დროს ხილი ან სხვა რამე უნდა მოუტანონ და ისე დაიხსნიან.

ქორწილი რო გათავდება ნეფეს გაანადირებენ.

მთქმელი **მარკოზ სიმონის ძე ბერიძე**,
ასპინძის რაიონის სოფ. სარო,
ჩაიწერა **ა.მარტიროსოვმა**
1948 წელს

ახალი წიგნები

ახლახან ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ბევრი საინტერესო წიგნებით შეივსო, მათ შორის:

– ჩარლზ დიკენსი – ორი ქალაქის ამბავი (სულაკაური);
– პატრიკ პულმანი – ქარვის ჭოგრიტი (სულაკაური);
– ჰარუკი მურაკამი – უგერული ცუკურუ ტაძაკი და მისი პოლიგრიმობის წლები (სულაკაური);
– ნამდვილი დეტექტივი – ღრმა ძილი – რეიმონდ ჩენდლერი (პალიტრა);
– მოსწავლის ბიბლიოთეკა – ასტრიდ ლინდგრენი – ძმები ლომგულები (ლურჯი) – (სულაკაური);
– მსოფლიო ფიზიკური მსოფლიო პოლიტიკური რუკა (საქართველოს მაცნე);
– ბერიძე ა. - მარადიული ვალი;
– ბერიძე მ. – სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე;
– ბერიძე მ. – ასპინძა და ასპინძელობა;
– ბერიძე მ. – მებადურობა, თევზები. სახელები;
– პრაზიუნასი ვ. – დღის გახსნა;
– კარსონი ქ. – ანბანის ამოხსნა.

გადაეცა მთავარ ბიბლიოთეკას

– ბიბლია განმარტებით – ტ. I – II – III – IV – V – VI – VII – VIII – IX – X - XI – XII - XIII –XIV – XV (პალიტრა);
– ექვთიმე თაყაიშვილი – ტ. VII-VIII (არტანუჯი);
– ლეო კვაჭაძე – თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი 2 ტომი (საქართველოს მაცნე);
– რევაზ გაჩეჩილაძე – (სულაკაური);
– ე.ლ. ჯეიმზი – გრეის ორმოცდაათი ელფერი ნაწ. I – II – III (სულაკაური);
– ლუი-ფერდინანდ სელინი – სიკვდილი კრედიტით (სულაკაური);
– ავგუსტ სტრინდბერგი – წითელი ოთახი (სულაკაური):
– მიხაილ ბულგაკოვი – რჩეული მოთხრობები (სულაკაური);
– მურასაკი შიკიბე – ამბავი უფლისწული გენჯისა (სულაკაური);
– ფრანც კაფკა-ამერიკა (სულაკაური);
– მარსელ პრუსტი – სვანის მხარეს (სულაკაური);
– იოზეფ როთი – რადეცკის მარში (სულაკაური);
– იოჰან ვოლფგანგ გოეთე – ფაუსტი, ტ. II (სულაკაური);
– მერვე სიცოცხლე – ნინო ხარატიშვილი ბრილკას;
– ჰარუკი მურაკამი – მოსამართლის ჩიტის ქრონიკები (სულაკაური);
– ჰარუკი მურაკამი – დენს, დენს, დენს (სულაკაური);
– დენ ბრაუნი – ინფერნო (სულაკაური);
– ხულიო კორტასარი, ტ. II – III – IV (სულაკაური);
– ჰარუკი მურაკამი – ქარი, პინბოლი (სულაკაური);
– არიანა ჰარვიცი – მოკვდი სიყვარულო (სულაკაური);
– სხვადასხვა ავტორი – გახლეჩილი ქვეყანა (სულაკაური);
– აკა მორჩილაძე – მესაიდუმლის ქამარი (სულაკაური);
– არჩილ ქიქოძე – კახეთის მატარებელი (სულაკაური);
– გახდი ბეთსელერის ავტორი – ნიკოლოზ ტოტოლაშვილი – შვიდი მომაკვდინებელი გრძნობა (პალიტრა);
– გახდი ბეთსელერის ავტორი – ვახტანგ ვახტანგაძე – ალაჰი ჩემი მეგობარია (პალიტრა);
– ნიკოლა იუნი – მზეც ხომ ვარსკვლავია (სულაკაური);
– ბესო ხვედელიძე – განჯადოება (სულაკაური);
– კახა თოლორდავა – გაუზავებლად (მუსიკოსები ხელობასა და ხელოვნებაზე) (სულაკაური);
– ნოდარ ლადარია – ქარის გამორჩევა (სულაკაური);
– ბიძინა მაყაშვილი – ბლუზი მტკვრის პირას (სულაკაური);
– მეო მასკი – ქალი ისახავს მიზანს (სეზანი);
– მიშელ უელბეკი – სეროტონინი (სულაკაური);
– ბესო ხვედელიძე – (სულაკაური);
– სერია ვიტამინი – ეს არ არის წიგნი – კერი სმითი (სულაკაური).

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია